


№ 5-67



ქართული
წიგლისმოყვარეობის
კავშირები



ქორეპედიკვირეული ქუთუბალი

№ 2

წელიწადი მთლიან



ფასი 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

უოცველ კვირულ საზოგადო-ეკონომიურ



და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

1 წლ.	6 თვ.	3 თვ.	1 თვ.	ცალკე №	
5 მან.	2 მ.	75 კ.	1 მ.	50 კ.	10
4 მან.	2.50 კ.	1 მ.	40 კ.	10	

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასახადი.

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

უოცველთვიურ ჟურნალ

„განთიარღვე“

(წელიწადი პირველი)

და უოცველ კვირულ კაზეტ

„მინაშურ საქმიეებზე“

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურათ 7 მან. დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მდ. ს. მჭედლიძე.

ვისაც 1913 წლ. არ
გამოუწერია ჟურნალი
„კლდე“, იანვრიდან
აღარ გაეგზავნება.



სოციალ-კავშირული საზოგადო-ებო.

მოიხრი და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღია 10-8 საათ.

1490

მისამართი: თბილისი, გაბაევსკი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.



ს ა რ ჩ ე ვ ი: ვლადიმერ მუსხიშვილი. მოსკო-
ლოდნელი (გვლილებანი. ხაზინა და ქარ-
თველი ხაზის მამული. — თევდ. ლლონ-
ტისა. წევლა განდევნილისა, — ლექსი
ი. მჭედლიშვილისა. ქალთა საკით-
ხი. — რ. გ — ესი. ჩვენ „საზოგადოე-
ბათა“ მიმოხილვა. — მროველისა.
პროფ. გრედესკულის ლექციები. — დამს-
წრესი. ჩვენი თავად-აზნაურობა. —
შეუპოვარისა. ღია ბარათი გრიგოლ
დასაშიძეს. — რ. გაბაშვილისა.

ვლადიმერ მუსხიშვილი

ამაჲწლის თებერვალში ქართველი სა-
ზოგადოება გადაიხდის ჩვენი საუკეთესო
და სასიქადულო მსახიობის დღესასწაულს.
მგონი, არც ერთს საზოგადო მოღვაწეს,
არც ერთ ხელოვანს ჩვენი დროისას არ
შეუძლიან დაიკვებოს ისეთი ერთსულოვა-
ნი და გულწრფელი სიყვარული საზოგა-
დოებისაგან, როგორც ჩვენ საყვარელ
„ლალომ“, რომლის სამსახური ქართული
სცენისათვის და საზოგადოებისათვის მარ-
თლაც ფას-დაუდებელია.
ერის ცხოვრებაში ბევრია ნიჭიერი და
ხალისიანი მუშაკი, ბევრი აღწევს ვარჯი-

შობით და გონიერის დაკვირვებით იმ საფეხურს, რომელიც საზღვრავს ღვთიურ შემოქმედებას, მაგრამ იშვიათია, როგორც აღმასი მოელვარე, მიწის გულიდან ამოდებული, როგორც მარგალიტი, ზღვის ძირიდან მზის შუქზედ ამოტანილი, ისეთი ზეციური ნაპერწყალი, რომელსაც ზეშთაგონება ჰქვია.

ზეშთაგონება, — ბუნებით ნაბოძები ნიქია, ვერც სწავლა, ვერც გონიერება, ვერც ნაცადი მას ვერ შეიქმს, ოღონდ თვითონ მას კი შეუძლიან ყველა ესენი საფეხურად გაიხადოს და მათი შემწეობით ზეარსად აქციოს მომაკვდავი ადამიანი. ვლ. მესხიშვილი სწორედ ის იშვიათი მოვლენაა, რომელიც საუკუნეში ერთი თუ დაიბადება, რომ კაცობრიობას და თავის მშობელ ერს უთხრას: „არა, არ მოკვდება ის ერი, რომლის გულზედ გაიზრდება ასეთი საუცხოვო ყვავილი“.

ვინ გაზომოს ის სიამოვნება ესთეტიური, ის ეროვნული გრძნობის ჩამწერგველი ძალა, რომელიც გამოკრთოდა ყოველი ნაკვთიდან ლაღოს მიერ შექმნილ პიროვნებათაგან. ვინ გვათხოვოს ის სიტყვები, რომლითაც შეხამდებოდეს მესხიშვილისაგან დასურათებული ტიპები. თუ საკაცობრიო ჰენიოსი სწერს და ჰქმნის ტრაგედიას ჰამლეტისას—იგი ჯერ კიდევ ათასგვარ ცვალებადობას განიცდის სხვა და სხვა ადამიანთა შემეცნებაში, იმის და მიხედვით, თუ ვინ არის ეს ადამიანი, და მხოლოდ მეორე მადლით ცხებულს ადამიანს შეუძლიან ხორც-შესხმით გამოგვიქანდაკოს „დიდბუნებოვანის აზრი და გრძნობა, სავსებით დაშრიტოს წადილი მისი. ასეთი არის ვლ. მესხიშვილი.

თუ უცხო ერის სული შობს „შეშლილის წერილებს“, ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ შეიგნებს მათს იდეას სხვა ერის შვილი; მაგრამ თვალი ერისა—მნათობი-პიროვნება მუდამ ღიაა, რომ შიგნიშვიან გულღვიძლში ჩასწვდეს და ჩვენცა გვამცნოს მის სიდიადე. ასეთი არის ძვირფასი ლაღო.

თუ ერის წყლულნი, სამშობლოს ტრფობა პოულობს გამოხატულებას „სამშობლოსა“, „დაძმასა“ და ან „ლაღატში“—აქაც ვლ. მესხიშვილი ქართველი ერის ძვირფასი თვალია: რეალური ცხოვრება არ გვიწყობს ხელსა, „საქმენი საგმირონი“ გულშივე კვდებიან და მხოლოდ სცენაზედ, როგორც ციურ ცვარში, იხატება ჩვენი ოცნებათა ცა და გრძნობათა დედამიწა, სურათდება, იწრთობა ეროვნული ხასიათი და სურვილები ყალიბდებიან... და ჩვენი ლაღო, როგორც მეფე თვით სიუხვისა, უხვად აპნევდა ყოველთვის ჩვენს უდროოდ გაციე-



ვლ. მესხიშვილი — ლევან ხიმშიაშვილის როლში.

ბულ გულში მაღალ გრძობათა სიყვარულისა და კეთილ შობილურ ზრახვა-წადილთა სამშობლოსადმი.

მოგონებანი ჩვენნი და უფროს ძმათა ჩვენთა აღტაცებული სიყვარულით არიან სავსენი. ლევან ხიმშიაშვილი, გაიოზ ფაღავა, კინი, ლრიელ აკოსტა, საწყალი თომა, ფრანც მოორი... ეს განპიროვნებული ადამიანის გრძნობა იდეები, როგორც ცოცხლები თვალწინ გვიდგანან, ლაღოს საოცარ ნიქის წყალობით...

ფრანც მოორით დაიწყო ახალი წელიც. პირველ იანვარს ბენეფისი იყო „ახალგაზრდა მსახიობთა“ და ვლ. მესხიშვილი თამაშობდა ორ როლს: კარლოს და ფრანც მოორისას. სად უკეთესი იყო, ძნელია სათქმელად, ორივეს სულის სირღმეში, როგორც თავის სამფლობელოში მეფობდა მაღალ ნიქიერი მსახიობი. ორთავ ძმა—ერთი და იმავე კომისაგან არიან გამოცხობილნი, მათს ხასიათში ბევრისაგან ბევრია ერთი და იგივეობა: ორთავ უდრეკი; ორთავ მგზნებარე, ორივეს ცეცხლი სწავს შიგნეულისა, თავმოყვარულნი ორივე და მძიებელნი შურისა, თითქმის ერთსახენი სულიერად, იქამდე, რომ თვით სიყვარულიც ერთსა არსებას შესწირეს მსხვერპლად—მშვენერს ამალიასა. ერთნი არიან,

ძმანი არიან ღვიძლები; ყოველ სულიერ განცდაზედ ეტყობათ, რომ უწოვიათ ერთი ძუძუს რძე... მაგრამ ამასთანავე მათ განსხვავებას არ აქვს საზღვარი: ეს ორი სახეა ერთარსებისა: კარგი და მრუდე, ბოროტი და კეთილი. და როგორც ერთ ციდა ადგილზედ იზრდება ერთად შხამიანი ჭინკარი და სურნელი ყვავილი—ეს ორი პირი ერთ და იმავე ნიადაგიდან იზიდვენ საკვებს სულისას, გარნა ერთი ბოროტებად ჰქმნის ყოველსა განცდას და მეორე კი იმავე განცდას წარმოატყობს სიკეთედ.

და თუ მართალია უკვდავი ჰეინე, რომ ადამიანი მით უფრო დიდბუნებოვანია, რაც მეტი სხვა და სხვა პიროვნების განხორციელება შეუძლიან, უნდა ვსთქვათ, რომ შილერმა საოცარის სისწორით გადმოგვცა ერთი ადამიანის სულის კვეთება ორი ძმის, განგებ ღვიძლი ძმის სახით. და თუ შილერმა გაპყო ორი ძმა, რომ უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა ჩვენთვის ადამიანის ცვალებადი ბუნება — სიმბოლოდ შეერთებისა უნდა ვაღიაროთ მესხიშვილისგან ამ ორი ძმის როლის შესრულება.

ბოროტი, მლიქვნელი, მახინჯი სულით-ხორცამდე ფრანკი—ისეთივე წარმოტყობი და ხელოვნების უკიდურესებამდე მიტანებული ტიპი იყო ჩვენ წინ,

როგორც კეთილშობილი, ამაყი და მოსიყვარულე კარლოსი. ვლ. მესხიშვილმა დიდ-ნიჭიერად აართვა ალლო შილერის სულის კვეთებას და ერთი სახით, ერთი პირით, ერთი ადამიანის ფიზიკურ და გარეგნობით შეაკავშირა ორი სული, ანუ უკეთ-ერთი, განყოფილი ორად. და დაგვანახვა მარტო ის კი არა, რომ დიდბუნებოვანს, დიდბუნებოვანისა ესმის, არამედ ისიც, რომ ერთ ადამიანში თავსდება სიბოროტეც და სიკეთეც, რომ „ადამიანს არაფერი ადამიანური არ ეუცხოვება“: *Homo sum et nihil humanum mihi alienum est.*

თავისი თამაშით, მესხიშვილმა თითქო სიმბოლიურად გადასწყვიტა ის უკვდავი პრობლემა, რომელსაც თეორიულად ასულდგმულებდნენ ლეონარდო-და-ვინჩი, დოსტოევსკი და უფრო სუსტად, უკანასკნელ დროს, მერეჟკოვსკი და ლეონიდ ანდრეევი. მან თითქო ერთხელ კიდევ დაასვა ბეჭედი ზეკაცისა იმ მოვლენას, როცა ერთ ადამიანში მოწინააღმდეგე სულნი დაიბუდებენ და ამით დიდბუნებოვანება თვისიც დაამტკიცა....

ვაშა შენს ნიქს, ღვთის მოციქულო, და სიამაყევ სამშობლო ერის.



ვლ. მესხიშვილი — „შეშლილის“ როლში.

მ ო ხ ა ლ ო დ ნ ე ლ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ა ნ ი



ქ რ ი მ ნ ე მ ო ლ ი
ზ ი მ ლ ი მ ო მ ე ნ ა

თავად მაქსიმლიან ჭავჭავაძის ჩამოსვლამ თბილისში, ახალი აჯანყება მოახდინა დეპუტატთა საკრებულოში კახეთის და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის შეერთების წინააღმდეგ. „კავკასში“ გამოქვეყნებული იყო დეპუტატთა საკრებულოს დადგენილება და აგრეთვე სიტყვა, თქმული თავად მ. ჭავჭავაძის მიერ—თავად ბაგრატიონთან, რომელიც 13 იანვრის არჩევნებს სულ სხვა იერს აძლევს.

დახსნა კახეთის რკინის გზისა უცხოთა კლანკებისაგან, აი უმთავრესი საკითხი, რომელსაც მოითხოვს საზოგადოებრივი აზრი და როდესაც უმრავლესობა მარშლებისა და დეპუტატებისა ამ აზრს იზიარებს—ჩვენ გვგონია, ნაპოვნია უკვე ის სახელმძღვანელო პრინციპი, რომელსაც წაიმძღვარებენ წინ თავად-აზნაურები გუბერნიის წინამძღოლის არჩევნების დროს. როდესაც ეს არჩევნები ხდება ისეთ ფაქტის ზედგავლენით—იყოს თუ არა კახეთის რკინის გზა დამოუკიდებელი. თუ დაკარგული ჩვენთვის, ჩვენ აღარ ვვაშინებს ის გარემოება, რომ კრებაზედ გამოცხადდებიან სხვა და სხვა ჯგუფის აზნაურნი, სხვა და სხვა მიზნით და სურვილებით. ერთის წუთითაც არ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ 13 იანვარს მთელი თავად-აზნაურობა ერთის აზრით არ იქმნება გამსჭვალული. როდესაც სწყდება საკითხი, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისთვის, თავად-აზნაურობამ უნდა გამოიჩინოს ერთსულობა და ერთგულობა და ფართე საზოგადოებასაც დაუმტკიცოს, რომ მას აინტერესებს მხოლოდ საზოგადო საჭმე.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ზაკავკასკაია რეჩის“ წინა წერილებს, მთელი ქართული პრესა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შეერთება კახეთის გზისა სიღნაღ-ბაქოს გზასთან საზარალო იქმნება ჩვენთვის. და უკანასკნელ დროს თვით „ზაკ. რეჩიც“ ამ დასკვნას დაადგა. მაშასადამე უნდა გამოინახოს საშუალება, რომლითაც თავს დავაღწევთ ამ ზარალს. ეს კი დამოუკიდებელია იმ გარემოებისაგან, თუ ვინ იდგება ამ საქმის სათავეში, და თავ. მ. ჭავჭავაძის სიტყვაშიაც სწორედ ეს აზრია ხაზ-გასმუ-

ლი. ამ ჟამად, გუბერნიის თ.-აზნ. წინამძღოლის მოადგილედ ითვლება თავ. პ. თუმანიშვილი, რომელიც იმავე დროს მეთაურია სიღნაღ-ბაქოს გზის კონცესიისა და მომხრე შეერთებისა; წარმოსადგენადაც კი ძნელია, რომ 13 იანვრის არჩევნებმა არ ჩაშალოს ასეთი მდგმარეობა, ან, როგორც ხმები დადის, პირიქით სანქცია მისცეს ასეთ მდგომარეობას და საკითხი შეერთებისა ისევ საფრთხეში ამყოფოს. ამას ვამბობთ იმიტომ, რომ არსებობს ჯგუფი, რომელიც იმავე წინამძღოლის ადგილზედ თავ. პ. თუმანიშვილს ასახელებს. ასეთი კომბინაცია შეუწყნარებელია. არიან ისეთები, და მათ შორის კი პირველი თვით „ზ. რეჩის“ ხელმძღვანელი პ. გოთუა, რომელიც, თუ თავ. პ. თუმანიშვილი იქნება არჩეული გუბერნიის წინამძღოლად, დიდ კომპენსაციას გვპირდება; ამას ამბობს კერძო საუბარში, ამას ამბობს გაზეთის ფურცლებზედ. სასაცილოდაც კი არა კმარა, თუ რას წარმოადგენს ეს კომპენსაცია: იმ შემთხვევაში, თუ ეს აზრი გაიმარჯვებს, თავადი პ. თუმანიშვილი თურმე „შეერთების“ ჩაშლას აპირებს; მე მგონი „თამაში“ ამაზედ შორს ვეღარ წავა. ასეთი მასხარაობა სინდისისა და ერის წინაშე ახალი შეურაცხყოფაა და ჩვენი ნუგეში მხოლოდ ისღა არის, რომ ასეთი აზრი შემუშავდა სწორედ პართენ გოთუას თავში. რომელშიაც ბევრი სხვა ამისთანა აზრებიც მოხარშულა, და რომელიც დიდი ხანია, რაც ქართული თავი აღარ არის. თუ ამ შეუწყნარებელ აზრს იზიარებს თვით თავადი პ. თუმანიშვილიც, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი თვითვე სკრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის. მაგრამ მაშინ ჩვენც გვეძლევა უფლება ვიკითხოთ: სადღა არის ბოლოს სიმართლე: შეერთება სჯობიან თუ განცალკევება, და როდის უფრო იქმნება თავადი პ. თუმანიშვილი შესაწყნარებელი, მაშინ როცა დირექტორის ადგილის გულისთვის მან მოახდინა შეერთება, თუ მაშინ, როცა მარშლის ადგილის გულისთვის ის ეცდება განცალკევებას?

ა—ი.



ხაზინა და ქართველი ხალხის მამული



ქართველი
წიგლიწიგნი

II

ჩვენი თეზისია: ბერლინელ გაკატიზმის მამათ-
მთავართა ზრახვანი რუსეთის სახელმწიფოშია გაი-
ზიარა ფაქტიურად და გაკატიზტების გზით შეუდგ-
ნენ ჩვენში მამულის საკითხის გადაჭრას.

მაგრამ ჩვენში გავრცელებულია აზრი: რუსე-
თის ძალა საქართველოში პროგრესიული იყო, ე. ი.
გაკატიზმი აქ არსადა სჩანსო. ასეთ დებულების ავ-
ტორებს კი ავიწყდებათ ჩვენი ცხოვრება, მათ წარ-
მოდგენილი აქვთ ცხოვრება ერთ წერტილზე გაყინუ-
ლი და მოვლენებს უყურებენ აბსოლიუტურ თვალ-
თა ხედვით. ის გარემოება, რომ რუსეთმა საქართვე-
ლოში მეოცდაათ წლამდე ჩამოაყალიბა ბატონ-
ყმობა, გასწმინდა ცხოვრება აზიური ანარქიის წე-
სებისაგან—აი ეს აქტები აბრმავებენ მათ. მაგრამ გა-
ნა არ ვიცით, რომ რუსეთმა სწორედ აგრევე გას-
წმინდა ბატონ-ყმობა პოლონეთსა და ლიტვაში?
განა აგეთი კონკრეტიზაცია ბატონ-ყმურ უფლე-
ბისა აუცილებელი შედეგი არ იყო მეცხრამეტე სა-
უკუნესი—რომელი სახელმწიფოც უნდა შემოსუ-
ლიყო ჩვენში—რადგანაც უამისოდ შეუძლებელი
იქნებოდა თვით ცხოვრების განვითარება. და ეს
კონკრეტიზაცია ბატონ-ყმობისა ხომ იმისათვის მოხ-
და, რომ ქართველობა ყოველმხრივ დამგზავსებოდა
რუსობას, რომ ჩვენშიაც სწორედ ისეთი წყობილე-
ბა ყოფილიყო, როგორც რუსეთში. და თუ ამ პო-
ლიტიკას პროგრესიულად მივიჩნევთ, ეს იქნება ის-
ტორიული შეცდომა, რადგანაც ეს პოლიტიკა,
პროგრესიულად მონათლული, ნამდვილად რეგრე-
სიულ მიმართულებისა იყო.

ჩვენ აქ ვერ შევეხებით ვრცლად ჩვენს ცხოვ-
რებაში განვითარებულ რუსეთის მთავრობის პოლი-
ტიკას—თვით მთელი წერილი გამოააშკარავებს მის
სულის კვეთებას—ხოლო თუ აქნობამდე მკითხვე-
ლის ყურადღება შევაჩერეთ ამ საგანზე ეს იმიტომ,
რომ ამ საგანზე ჩვენში მეტის მეტად ყალბი შეხე-
დულობა არის დამკვიდრებული.

საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების
შესწავლა კი ჩვენ აშკარად გვანახებს, რომ მიწა-
ადგილის საკითხში—რაიცა მთელ საქართველოს
ცხოვრების ქვა-კუთხედია—უტიფრად მოქმედებდნენ
ჩვენ მიერ დასმულ თეზისის ანოლოგიური პოლი-
ტიკით. რუსეთის სახელმწიფო არასოდეს არ უყუ-

რებდა საქართველოს ისე, როგორც ერთ-ერთ თა-
ვის შემადგენელ ნაწილს. არა, საქართველო—ეს
განაპირა ქვეყანა იყო, ქვეყანა, სადაც მთელ ის-
ტორიის სივრცეზე ომის ცეცხლი იყო აღგზნებული
ოსმალეთ-სპარსეთთან, რაშიაც რუსეთი ისტორიუ-
ლად იყო დაინტერესებული. აგრესიულ პოლიტი-
კის მთელი ძალა სწორედ კავკასიაში იყო დამარ-
ხული. ყოველი ადლი მიწა რუსეთისათვის მეტის-
მეტად იყო საყურადღებო, ყოველი წინგადგმული
ნაბიჯი აშკარად მოასწავებდა რუსეთის მთავრობის
უუტკბილეს აგრესიულ პოლიტიკის გამარჯვებას,
წინსვლას. მიწის შეძენა, იქიდან განაპირა ქვეყნე-
ბის მკვიდრთა აღგვა და ზედ წმინდა რუსების დასახ-
ლება—რომელნიც ფრიად საჭირონი იქნებოდნენ
შემდეგი მსვლელობისათვის—აი მთავრობის გზა-სა-
ვალი. მხოლოდ რუსის ხალხს თუ ენდობოდა
მთავრობა ამ უცხო ქვეყანაში, მხოლოდ ამ ხალხში
არ დაებადებოდა მთავრობას იქვი ლალატისა და
ორგულობისა.

სამწუხაროდ, აგრესიულ პოლიტიკის განვითა-
რება ჩვენში და ამის გამო ადგილობრივ მიწა-ადგი-
ლის ხაზინის ხელში გადასვლა, ზედ რუსების და-
სახლება—სრულიად გაუნათებელია ჩვენს მწერლო-
ბაში, თუმცა საამისოდ აუარებელი მასალები
მოიპოვება ოფიციალურ თუ არა ოფიციალურ წყა-
როებში. რომ რუსეთის სახელმწიფოს მიწა-ადგილე-
ბი განსაკუთრებით აინტერესებდა, რომ მიწა-ადგი-
ლი მას აგრესიულ მიზნისათვის ესაჭიროებოდა,
ამას თვით მთავრობის „მაღალი“ მოხელენიც არ მა-
ლავენ. კავკასიის უმაღლესი მთავრობა აშკარად
აღიარებდა, რომ „პოლიტიკური მოსაზრებანი გვი-
ჩვენებენ, რამდენათაც შესაძლოა მხარეში ქეშმარიტ
რუსების დასახლება, რომ სახელმწიფოს საზღვრებზე
შევადგინოთ ყოველის მხრივ საიმედო მცხოვრებ-
ნი...“¹⁾. რომ არქივებს არ მივაშუროთ და დაუახ-
ლოვდეთ უფრო ახლო დროის ფაქტებს დაფინახავთ
თვით კავკასიის მეფის მოადგილეს გრაფ ვორონცოვ-
დაშკოვის მოხსენებაში, რომ სახელმწიფოებრივი ინ-
ტერესები ყოველ ადგილობრივ სოციალ-ეკონომიურ

¹⁾ იხ. А. В. Верещагинъ „Историч. обзоръ ко-
лонизаціи Черном. поб. Кавказа и ея результаты“.

საკითხზე მალლა სდგას და ამას ერთიანად დამორჩილებული ჰყავს მიწა-ადგილის საკითხი ჩვენში. ამ პოლიტიკას სახელმწიფო სათათბიროშიაც აშკარად და უტიფრად აცხადებდნენ ზოგიერთი დებუტატები. საბრალო ტიმოშკინი, კარლო ჩხეიძის საპასუხოდ, გულუბრყვილოდ აღიარებს, რომ საერთოდ განაპირა ქვეყნებში ქვეშაირიტ რუსების დასახლება საზღვრების სათანადო დასაცავად არის საჭირო. „საერთოდ—ამბობდა ტიმოშკინი დღეში, საზღვრების დაცვა რუსეთის ისტორიული საქმეა... დღევანდელ პირობებში მთავრობა იმ პოლიტიკას უნდა დაადგეს, რომ ყველა ჩვენი განაპირა ქვეყნების საზღვრები გაამაგროს რუსის ხალხით და მხოლოდ მაშინ დამყარდება უშიშროება რუსეთის სახელმწიფოსათვისაო“¹⁾

და რომ საზღვრებზე რუსის ხალხის გამრავლება—დასახლებით ხელმძღვანელობდა მთავრობა, რომ ამისათვის იძულებული იყო პრუსიულ პოლიტიკისთვის მიემართა და ხელში ჩაეგდო ადგილობრივი ჭურ-მამული—ეს ხომ ისტორიული სინამდვილეა. სვიმონ ესაძე მოგვითხრობს, რომ ერმოლოვის, როზენის, გოლოვინის და ნეიდგარდტის ყურადღება განსაკუთრებით მიქცეული იყო მოსაზღვრე ადგილების დაკავებისა და ზედ რუსების დასახლებაზეო. ამისათვის მთელი კავკასია ავსებულ იქმნა ათასნაირ დაზმებითა და ჯარებით. „დასავლეთ კავკასიაში—ამბობს ესაძე—მრავალ რიცხოვან რაზმების მფარველობით“²⁾ დამყარებულ იქმნა ყაზახთა სოფლები. მთიულ ხალხს ებრძანა ან ბარად გადმობარგებულიყო ან ოსმალეთში“³⁾. და მართლაც, რუსეთის შეუბრალებელ მხედრობის ზე-გავლენით ეს ცეცხლის მფრქვეველი ვეზუვი და წყარო რუსების საშიშროებისა, ერთიანად იქმნა ლაგამ ადებული. დასავლეთ კავკასიის მთიულთაგან მთელი 418 ათასი გადაბარგდა ოსმალეთში, ხოლო 90 ათასი ბარად ჩამოვიდა.³⁾

1) იხ. Кавказские депутаты въ 3-ей Государств. Думѣ. 33. 184.

2) კურსივი აქაც და ყველგან ჩვენი იქნება.—თ. დ.

3) იხ. Семень Мсадзе: „Историческая записка объ управленіи Кавказомъ“ т. I 33. 51.

3) იქვე, 52.

(შემდეგი იქნება).

თევდ. ლლონტი.

წუქვლა განდევნილსა



ძველო ცხოვრებავ, წყეულიმცირეფენული
 აბა რა მარგე ტანჯვისა მეტი?!
 სულ ნორჩს სიცოცხლე შუა გამიყავ —
 გამომაცალე იმედის სვეტი.
 ჩვენ ერთმანეთი დავწყევლეთ, დავგმეთ,
 ვით ერთად ვლენა ყოფნა—არყოფნამ,
 ნუ მოჰხდეს, კიდევ ერმანეთს შევხვდეთ,
 ვერ შემიგუოს იუდათ მოდგმამ!..
 მონა არ გავხდის... ცეცხლის მახვილით
 გაუკვლევ მართალთ სიმართლის მზესა,
 ახალ გზას მოვფენ ვარდით, ყვავილით —
 ვპოვებ სხვა მხარეს და სამოთხესა.
 ძმა-მეგობარნო! თქვენი დაცინვა
 თან გამომყვება, ვით გრიგალს მტერი,
 მაგრამ უდრეკელ ჭაბუკის გრგვინვა
 დაგორგუნავთ თქვენა, ვით მტერსა მტერი.
 ნუმცა გქონიათ სულის მშვიდობა,
 ვით მე არ მქონდა თქვენსა უბეში,
 კრულ იყოს ჩემი თქვენდამი ტრფობა,
 კრულ მეყოს მეცა თქვენი ნუგეში.
 წუხილად გექცეთ თქვენ მოსვენება,
 როს აბეუტდება ციციანათელა
 და სასაფლაოს მკვდარ სულთა კრება
 გარს შემოუვლის დინჯათ და ნელა!
 როცა მოსწყდება ზეცას ვარსკვლავი,
 ქვეშენეთის სულნი ასტებენ ძახილს
 და ტყე მძინარე, შესაზარავი,
 მათ ველურ ხმაზე ჰშობს გამოძახილს—
 შიშით და ძრწოლვით ვაი იძახეთ,
 ჯოჯოხეთმა გცეთ ტანჯვა და ალი,
 მრავალჯერ მოკვდით და დაიმარხეთ
 ვერ მოინელოთ ეგ ცოდო-ბრალი!
 უკვდავი იყოს თქვენი მტანჯველი
 და თქვენც უკვდავ გყოთ განგებამ ღვთისამ;
 მიწას გაერთხას თქვენი საკმელი,
 აღარ მიიღოს სიწმინდემ ცისამ.
 მე კი მივდივარ, ვშორდები თქვენ ცას!
 სალამი ახალს ოხვრას და კენესას!
 ვეღარ ვიხილავ სამშობლოს ჩემსას
 და ვეღარც ურცხვსა სიმრუდეს თქვენსას!
 დეე, ვიტანჯო და ვიავადო,
 ყველგან მელოდეს სასტიკი დასჯა,
 ოღონდ ახალი გზა გავიკაფო,
 ოღონდ ახალი იყოს ის ტანჯვა!

ი. მქედლიშვილი.

ქალთა საკითხი

ყველა აღნიშნული მწერლები (იხ. № 1) ჩერდებიან იმ ისტორიულ მოვლენაზედ, რომ ქალი ყოველთვის დაჩაგრული იყო კაცისაგან და ამიტომ თავს ვერ იღებდა მაღლა. ამის გასამტყუნებელი საბუთი მრავლისაგან უმრავლესია, მაგრამ მე მინდა დავასახელო მხოლოდ ორი, რომლებსაც ყველანი განგებ, თუ შეცდომით, ივიწყებენ: ეს არის—ებრაელთა ისტორია და თავისუფალი პროფესიები. არც ერთი თაობა ქალებისა არ იღვევებოდა, არ იჩაგრებოდა ისე სასტიკად, როგორც ებრაელი ხალხი, და ერთ დროს კი არა, მთელ თავის განუწყვეტელ ტანჯვის ისტორიის განმავლობაში, — მაგრამ განა ამან შეუშალა ხელი ებრაელ ხალხს შეექმნა საუკეთესო ფილოსოფოსნი, მემუსიკენი, ხელოვანნი? განა ეხლა ებრაელი ხალხი უნიჭიერესი ხალხი არ არის? განა დევნამ, დაჩაგრვამ, ბევჯელ ამოქოვტამაც კი ჩააქრო მათში ღვთიური ნაპერწკალი? პირიქით, სწორედ იმიტომ სდევნიან ეხლაც, რომ სხვას წინ არ უსწროს, რომ მისმა საოცარმა ნიჭმა ფრთა არ გაშალოს. ან განა იგივე ებრაელები, რომელთაც თავისუფალ მოძრაობის ნებასაც კი არ აძლევენ, მიწის ყიდვას უკრძალავენ რუსეთში, არ გვაძლევენ მაგალითებს შემოქმედებისას ხელოვნებაში, არ აწარმოებენ გაბეჯითებით ვაჭრობა—მრეწველობას, არ სარგებლობენ ფართოდ თავისუფალი როფესიებით? სად არის ამ დროს ქალი, რომლისთვისაც ეხლაც და მუდამ ესა მსაც თავისუფალი იყო ასპარეზი ხელოვნება—მუსიკისა, ვაჭრობა—მრეწველობისა, მეცნიერებისაც კი. რატომ ამ დარგებში არ გამოიჩინა თავისი შემოქმედების ნიჭი?

ერთის მხრით, ისინი არც ისე ხელ-ფეხ შეკრულნი იყვნენ ყველაფერში და მეორე მხრივ—ზოგიერთ დარგში, საცა მათთვის განსაკუთრებული პირობებია შექმნილი, რომ გაივარჯიშონ და თავი იჩინონ, იქაც ყოველთვის კაცია გამეფებული.

წარმოიდგინეთ, ისეთ „ქალის საქმეშიაც“ კი, როგორც არის კაბების კერვა, ან მოდების გამოგონება—ყოველთვის კაცი უფრო დახელოვებულია და უკეთეს ქალის მკერვალად კაცები ითვლებიან, მოდების ღმერთი—ვორტი—ისევე კაცია.

„ჩვენ მარტო სამზარეულო გვარგუნეთო“ ხშირად ჩივიან ქალები, მაგრამ აქაც საუკეთესო მზარეულები ყველგან კაცები არიან. შვილების აღზრდა-სწავლება, თითქო თვით ბუნებას ქალისთვის ჩა-

უბარებია და აქაც საუკეთესო პედაგოგები, პედაგოგიური და პიგიენური სახელმძღვანელოების თუ პრინციპების შემქმნელი — ყოველთვის მამაკაცი არიან... და სხვა ათასი ამისთანა. განსაკუთრებით ქალის ფსიხოლოგიის საუკეთესო მკვლევანი, მწერალი და მეცნიერი ფსიხოლოგები—კაცები არ არიან?!

რით აიხსნება ყველა ეს, თუ არ იმით, რომ არის ერთი უმაღლესი დარგი ადამიანის ბუნებისა, საცა ქალი კაცს ვერ შეეცილება—ეს არის **შემოქმედება (творчество)** და ეს ის ევე მიუწოდო მელი მხარეა ქალისათვის როგორც კაცისათვის—**მეორე ხარისხის შემოქმედება**—**შვილო ს ნ ა ბ ა**.

თუ ამ ორ დებულებას მივიღებთ: ერთი მხრით—**მოდების გავრცელების მოვალეობა ანუ დედობა და მეორეს მხრით შემოქმედებითი ნიჭის უქონლობა**, — მაშინ ცხადი ხდება, თუ რატომ ვერ მიაღწია ქალმა უმაღლეს და უკეთეს პირობებს, ვიდრე რომელშიაც ეხლა იმყოფება.

მაგრამ, აქედან რომ გადავიდეთ ქალთა საკითხის კონკრეტულ ფორმებზედ, დავინახავთ, რომ ევროპაში მას სულ სხვა საფუძველი აქვს, ვიდრე ჩვენში და რუსეთშიაც. ევროპაში ქალი უფლებრივ შეზღუდულია და ნაპოლეონის კოდექსით, (რომლითაც, მთელი ევროპა ხელმძღვანელობს) ქალი თითქმის ადამიანადაც არ არის ცნობილი, მაგრამ ამავ დროს ანორმალური ცხოვრება კაპიტალისტური წესწყობილებისა აუარებელ რიცხვს ქალებისას ოჯახის გარეთა სტოვებს; ინგლისში განსაკუთრებული სახელიც კი გამოუგონეს ასეთ ქალებს—**„მესამე სქესი“** მართალია, ფრანგი მწერალი მიშლე ამბობდა, რომ „მარტოხელა ცხოვრება კაცისათვის უფრო ძვირია, ვიდრე ცოლთან ერთადაო“, მაგრამ ოჯახის შენახვა თანდათან ძნელი ხდება და ქალებიც ირიყებიან ოჯახიდან. ოჯახიდან გარიყული კი—მეტე ბარგია, მეტი მჭამელი და ძალაუნებურად საქმეს უნდა მოეკიდოს. ასეთი მუშა ქალები ბევრისაგან ბევრია ევროპის დიდ ქალაქებში და ისეთ ცენტრებში, სადაც ქარხანა-ფაბრიკები მეფობენ.

აქ კი, როგორც უფრო სუსტს და მორჩილს, როგორც უფლება შეზღუდულს, ნაკლებ ფასს აძლევენ.

ასეთი გარიყული ქალები რჩებიან ბურჟუაზულ წრეებშიაც, უმაღლეს წრეებშიაც და მათ ენერგიას გასავალი სჭირია, მათ ცხოვრების ყველა მხარის დაკმაყოფილება სურთ; რა უნდა ჰქნან, თუ არ მოითხოვონ ყველგან კაცებთან თანასწორი უფ-

ლება, რომ შეივსონ ის დანაკლისი, რაც ბედმა წაართვა. მეორე მხრით, ცხოვრების განუწყვეტელი გაძვირება ნებას აღარ აძლევს ოჯახის რომელიმე წევრს მუქთად ჯდომას და, რადგან ოჯახის „თავის“ სამუშაო-ქირა არა ჰყოფნის, ძალაუნებურად ცოლსაც, ქალსაც და ბევრჯელ ნ—ნ წლის ბავშვსაც კი მიაქანებს ჯოჯოხეთურ ღუმელთან, რომელშიაც იწრთობა რკინა-ფოლადი, წკნება ტყვიაკალა, ან დულს მინა. ვინ ჩამოსთვლის, ან რა აღწერს იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელსაც უფრო სუსტი ქალი განიცდის ქვანახშირის მღვიმეებში, და მადნეულობის ქა-ხერელებში. და ყველა ეს ამახინჯებს, ასახინჩრებს ქალს ერთი-ათად მეტს, ვიდრე კაცს, როგორც ხორციელად, ისე სულიერად. ამისთანა მდგომარეობაში ათასობით და ათი ათასობით მყოფი ქალი, საფრთხეს უმზადებს ქვეყანას ერთის მხრით, მეორეს მხრით იწვევს თანაგრძნობას და ბუნებრივად იბადება ქალთა საკითხი, ე. ი. რა ზომები შეიქმნეს, რომ წადაგვარებას ასცდეს ევროპა. ამ რიგად, ქალთა საკითხიც კი მამაკაცთა წამოყენებულია. მაგრამ შეგნებული ქალებიც თანდათან ერკვევიან, გრძნობენ უსამართლობას, გრძნობენ სიყალბეს ახლანდელი მდგომარეობისას და საბრძოლველად გამოდიან. ეძებენ თავისუფლებას და ისეთ პირობებს, რომ ადამიანური ცხოვრება შეეძლოთ. როგორც ყოველთვის, მოძრაობას ბელადებიც უჩნდებიან; შეგნებული, განვითარებული ინდივიდუუმები ხელმძღვანელობენ მათ, რაზმავენ, ორგანიზაციებს ჰქმნიან და იერიშით მიდიან ყველა იმ ციხე-სიმაგრეზედ, საცა კარი აქვთ დახშული: თუ გვამუშავებთ, ექსპლუატაციის დარგადა გვხდით—უნდა უფლებაც მოგვცეთ, ყველგან ადგილი დავიჭიროთ, ყველა საქმეს ხელი მოვკიდოთ და თქვენთან, კაცებთან ერთად, თანასწორ შრომაში თანასწორი ფასი მივიღოთ, უფლებანი მივიღოთ ეკონომიური და პოლიტიკური, რომ ჩვენი ბედის გადაწყვეტაში ჩვენც ხმა გვქონდეს. ე. ს. ევროპის ცხოვრებაში, ანორმალურმა მდგომარეობამ შეჰქმნა ისეთი ობიექტიური პირობანი, რომ ქალი ძალაუნებურად ერევა პოლიტიკურ-ეკონომიურ ბრძოლაში.

ამ ბრძოლას, რასაკვირველია, მხარს უჭერს დემოკრატია, როგორც ყოველგვარ დაჩაგრის და უუფლებობის მტერი.

მაგრამ წარმოიდგინეთ, ბევრჯელ დემოკრატია, ისეთ საფრთხეს წააწყდება ხოლმე, რომ იძულებულია თვითონ წავიდეს ქალთა უფლებების

წინააღმდეგ. ბევრ მაგალითებიდან ორ დამახასიათებელს მოვიყვან მხოლოდ. ბელგიაში ამ ათიოდე წლის წინად კათოლიკეთა პარტიამ შეიტანა კანონპროექტი პარლამენტში, რომ ქალებს შეეცეთ უფლება პარლამენტში არჩევნებისა და ამ პროექტს წინააღმდეგენ და ჩაშალეს საქმე—ლიბერალებმა და სოციალ-დემოკრატებმა. ეს, პირველ შეხედვით უცნაური მოვლენა, ადვილი ასახსნელი ხდება, როცა გავითვალისწინებთ იმას, რომ ბელგიელი ქალები დიდის გავლენის ქვეშ იმყოფებიან სრმღვდელოებისა და შაშასადამე პარლამენტშიაც ძლიერ, ოპოზიციას შეუქმნიდნენ ქვეშარტ დემოკრატია. მეორე მაგალითი ამ ახლო მომავალში მოხდა და... რუსეთის პარლამენტში: როცა საკითხი დაისვა ქალების ეკონომიურ გათანასწორებაზედ კაცებთან,—ამ საკითხს სასიკვდილო ბრძოლა გამოუცხადეს ყველა პოლონელებმა და აი რა მოსაზრებით: პოლონეთი გზაა ევროპისა და რუსეთ შორის, პოლონელი ქალი კი მეტად ხელში დაუჭერელია, მისთვის სულ ერთია ვის გაჰყვება ცოლად, და ამრიგად მას შეუძლია სამშობლო ტერიტორია, თუ კი ეკონომიურად გათანასწორდება კაცთან, და ერთნაირ წილს მიიღებს მემკვიდრეობით,—უცხოთა ხელში გადაიყვანოს.

მართალია, ჩვენ ღმერთმა გვიხსნა სამღვდელოების ასეთ გავლენისაგან ქალებზედ, მართალია, ჩვენი ქვეყანა არც გზაა და არც ქალები გვყავს ისე ადვილად ქარაფრინდები, მაგრამ ჩვენში ხომ არც არის და არც შეიძლება წარმოიშვას ახლო მომავალში ქალთა საკითხი იმ გვარად, როგორც ეს ევროპაშია.

კაპიტალისტური წესი ეხლა იკიდებს მხოლოდ ფეხს ჩვენში და გაბოგანოვებული მუშა-ქალი ჩვენში იშვიათია. ქართველ ქალს, დედაკაცს, მოსამსახურედ შესვლაც კი სათაკილოდ მიაჩნია, არამთუ ქარხანაში, შეუძლებელ პირობებში ყოფნა; სხვა წრის გარიყული ქალებიც ჯერ იმდენად ბევრნი არ არიან, რომ ამ საკითხის სიმწვავე და სიჩქარე აუცილებელი გადასაჭრელი საგანი იყვეს; მით უფრო რომ ჯერჯერობით, ისინი პოულობენ გასავალს მასწავლებლობაში, საზოგადო საქმეებში და სხვა და სხვა ამგვარ კეთილშობილ მოღვაწეობაში.

რასაკვირველია, ყველა ეს აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ ეკონომიური მდგომარეობა ჯერ ხელს არა ჰკრავს ჩვენს გლეხის ცოლს ან ქალს სამუშაოსაკენ და ამით თავისებურ ფსიხოლოგიასაც ანვითარებს მასში და მეორეს მხრით, ჩვენ, როგორც

მეურნეობის მიმდევარნი, ჯერ გვიან მივალთ იქამდე, რომ ქალი გაბოგანოვების გზას დაადგეს.

რაც შეეხება ინტელიგენციას და უმაღლეს წრეებს,—აქაც ჯერ არ დამდგარა და იქნება არც დადგეს ის დრო, როცა ქალთა დიდი ნაწილი ოჯახის გარედ გაირიყოს. ჩვენისთანა პატარა დაჩაგრულ ერისათვის ეს არც სასურველია, რადგან ყოველი ქალი მოვალეა შესძინოს სამშობლოს იმდენი შვილი, რამდენიც შეუძლიან. და ეს შვილი უნდა იყვეს ჯანმრთელი, როგორც ხორციელად, ისე სულიერად. უკანასკნელისათვის კი ჩვენი ქალი მოუმზადებელია, აი რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება და რისთვისაც უნდა ვიზრუნოთ ყველამ. რასაკვირველია, სამართალი მოითხოვს, რომ უმცირესობაც დაკმაყოფილებული იყვეს და ის ნაწილი, რომელსაც გარემოება ხელს შეუშლის ამ მიზნის შესრულებას—უნდა უზრუნველ-ყოფილ იქმნეს როგორც ყველა დარგის სამუშაოთი, რომელ საფესურზედაც უნდა იყვეს ცხოვრებისა, პოლიტიკურ, ეკონომიურ, თუ სოციალურ სფეროში. ამისათვის აუცილებელია, და ჩვენ ამას უჭერთ მხარსა, რომ ქალი გათანასწორებული იყვეს უფლებრივ კაცთან, რომ არა მარტო უმცირესობა, ერთი ქალიც რომ დარჩეს მსურველი, უფლება ჰქონდეს ყველა დაწესებულებაში და საქმეში ფეხი მოიკიდოს.

რაც შეეხება ეკონომიურ მხარეს, ჩვენი აზრი იქითკენ იხრება, რომ ეკონომიური გათანასწორება ყველგან, და ნამეტნავად ჩვენში, დიდს ზიანს მოიტანს. გარდა იმისა, რომ ეროვნულ გრძნობა-შეუგნებელი ქალი, გათხოვებით შეიძლება ფაქტიურად გადაცემას ჩვენი ისედაც გალატაკებულ ტერიტორიისას უცხო ხელში, ქალთა ეკონომიური თანასწორობა არღვევს ყოველ გაჩარხულ და წარმატების გზაზე დაყენებულ საქმესაც. უწინ ამის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა სახელმწიფოში შექმნილი იყო მაიორატი, ე. ი. მთელი მამული გადადიოდა მემკვიდრეობით, როგორც ეხლა მაგ., სამეფო ხარისხი,—უფროს შვილთან. ამან თავისი დრო მოიქამა, უზარ-მაზარი სამფლობელონი დაიყენენ და პატარ-პატარა სამეურნეო ფარგალსაც სიკოცხლის ენერგია შესწევს. შემდეგ მარტო ვაჯებს უყოფდნენ დედულ-მამულს (თუმცა მეფე ვახტანგის კანონით და ეხლაც ადათით ჩვენში, დედის მოყოლილი მზითევი უნაწილდება მარტო ქალებს) და ახლა სხვა და სხვა სახელმწიფო სხვა და სხვანაირად სწყვეტს ამ საკითხს; რუსეთის კანონით აქამდე

ქალებს მეთოთხმეტედი ხვდებოდათ წილად, ახლის კანონით—მეშვიდედი.

ესთქვათ, დადგა ისეთი დრო, როცა ქალები ვაჟებთან ერთად თანასწორ წილს ეღებენ.

ავილოთ ნორმალური ოჯახი, სადა მამა-შვილოდ ვიანგარიშოთ ოთხი შვილი: ორი ვაჟი და ორი ქალი. ესთქვათ, ამათ ოჯახში მოწყობილი აქვთ რაიმე საქმე—იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო, ქარხანა, თუ სხვა რამ. მამის სიკვდილის შემდეგ, ერთი საქმე იყოფა ოთხად, ჯერ ეს თუ არ ღუპავს საბოლოოდ საქმეს, ძალიან ასუსტებს და წარმოიღვინეთ, რომ ეს ორი ქალი თხოვდება, ან უკვე გათხოვილია, სიძეებს, როგორც ოჯახის გარეშე წევრებს, არ შეუძლიათ ისეთივე სიყვარულით მოექცნენ დაყენებულ საქმეს, როგორც ისინი, ვისაც ოფლი ჩაუღვრია შიგ, მაშასადამე, საქმე სრულიად უნდა ჩაიფუშოს, ის საქმე, რომელსაც დედ-მამა წვითა და დაგვით ნახევარ ან მეოთხედ საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა.

დიდ ქვეყანაში, სადა მცხოვრები ბევრია, ასეთი უნუგეშო კომბინაცია შეუმჩნეველია, მაგრამ პატარაში, სადა ყოველ კულტურულ ჩანასახს, ყოველ პატარა საქმეს თავისი მნიშვნელობა აქვს, ესეთი მაგალითები განუზომელ ზიანს აყენებენ საერთო საქმეს. ჩვენში კი, სადა მარტო ეხლა, უკანასკნელ დროს ისახება აქა-იქ ცალკე სამეურნეო დარგები, სადა მხოლოდ ეხლა იღვიძებს ასი წლის მიძინებული ხალხი, რომ თითო კენჭი ჩააგდოს ჩვენი ეკონომიური აღორძინების საძირკველში—ეს პირდაპირი დანაშაულობა იქნებოდა. მეორე მხრით, არც გარანტია არის სადმე, რომ ქალი უცხოელზედ არ გათხოვდება და, მაშასადამე, სრულიად არ მოსწყვეტს სამშობლო ნიადაგს, როგორც ტერიტორიას, ისე საქმეს. მართალია, ქალებს თამამად შეუძლიანთ სთქვან; ბატონო, ქალი იმდენს რას წაიღებს, რაც აქამდე კაცებმა გაჰყიდესო, მაგრამ ჯერ ერთი გაყიდვაში ისინიც თუ პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ ყოველთვის, გაყიდვის მიზეზები მეტად ხშირად ისინი არიან და მეორეც, განა ძმარი რომ არ იყოს, კიდევ წყალიც უნდა დავასხათ და ერთ ჭირს მეორე ვარამიც ზედ დაუმატოთ? აი ყველა აქ ზემო ნათქვამით ვხელმძღვანელობთ, როცა ისეთ დასკვნას დავადექით, რომ პრინციპიალურად ყოველს ქალს პოლიტიკური და პროფესიონალური თავისუფლება უნდა მიენიჭოს, აგრეთვე თავისუფლება თანასწორ სწავლისა, გარდა ეკონომიური თანასწორობისა მემკვიდრეობით, მაგრამ მისი უმ-

თავრესი დანიშნულებათ, თვით ბუნებისაგან მინიჭებული — დედა-კაცობა, ამ სიტყვის ღრმა და ყოველმხრივი მნიშვნელობით.

ჩვენ ვეცდებით დროგამოშვებით დაუბრუნდეთ იმ საკითხს და გამოვარკვიოთ ადგილი, რომელიც ქართველმა ქალმა უნდა კონკრეტულად დაიკავოს და ამ მხრივ სრულ ჭეშმარიტებასა ბრძანებდა ქალბატონი „ბაბო“, რომ ჩვენი პრესა მარტო გაკვირით

წამოისვრის სიტყვებს ქალის რუსულ ტიტულად, „ქართველ კალების“ გადაგვარებაზე და არც ერთ ნამდვილ საშუალებას არ აღნიშნავს, არც ერთ მიზანს არ უსახავს თანამედროვე ქალს და ანგარიშს კი სასტიკსა სთხოვს.

რ. გ.

ჩვენ „საზოგადოებათა“ მიმოხილვა

წარსულ წერილში (იხ. № 1) შევეხეთ იმ საზოგადოებათ, რომელნიც უმთავრესად მოზარდ თაობას ემსახურებიან, მაგრამ სხვა საზოგადოებანიც არ არიან მოკლებულნი დიდ კულტურულ მნიშვნელობას.

გონების განვითარებას და უმთავრესად კი სწავლა-ცოდნისადმი დაინტერესებას დიდად ხელს უწყობს მაგ. შესაფერად მოწყობილი წარმოდგენების მართვა — თეატრი; დღევანდლამდე ჩვენი თეატრი თავის მარცხს სულ ნივთიერ უილაჯობას აბრალებდა; წელს მისი ნივთიერი მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა თავაზ-მიერ ქართულ თეატრის დრამატიულ საზოგადოებისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებში დათმობით, რამაც თეატრს უზრუნველ ყოფა მიანიჭა. ამ გარემოებამ მართლაც თეატრის სვებედზედ კარგი გავლენა იქონია და შედარებით 1912 წ. უკეთესად მოეწყო თეატრის საქმეები. სულ გაიმართა 36 წარმოდგენა; ამათგან ორგინალური პიესა იყო 8, ნათარგმნი — 4. ამას გარდა, ამ წელსვე და არსდა დრამატიული კურსები. მაგრამ, მიუხედავად, ყველა ამისა, მაინც ჩვენს თეატრს ბევრი რამ აკლია, განსაკუთრებით კი მის არტისტებს, რომელთათვისა ჯერ კიდევ ბევრი შრომაა საჭირო, რომ მომეტებული წილი მათგანი ნამდვილ არტისტებს დაეგვანონ. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ თეატრს ქველმოქმედობით ვერ შეუძლიან დიდი ხანი იცოცხლოს, თუ არ შეეცადა და თავისი საკუთარი წყარო არ გამოახა არსებობისა დღევანდელი მდგომარეობით უნდა ისარგებლონ ჩვენმა თეატრის მესვეურთ და ისეთ ნიადაგზედ დააყენონ, რომ ქველმოქმედება მისთვის საჭირო აღარ იყვეს? ერთ ამ საშუალებათ მიგვაჩნია ქარ-თეატრის და ფართე მასის ერთმანეთისადმი მეტი დაახლოვება — შეყვარება.

სწავლა-განათლების შესაფერ კალაპოტში ჩასაყენებლად და მის ნორმალურად გასავრცელებლად ხალხში, საჭიროა რომ იგი ეროვნულ სამოსელში იყვეს გახვეული და ემსახურებოდეს ეროვნულ აღორძინებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დიდ მნიშვნელობა აქვს სამშობლო ისტორიის და მის სიძველეთა ცოდნას, რისთვისაც საჭიროა ამ სიძველეთა დაცვა და მათი საშუალებით ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიის განმტკიცება.

ამ სიძველეთა დაცვას და ჩვენი ისტორიის შესწავლას ემსახურება ამ ხუთიოდე წლის წინად დაარსებული საისტ. — და საეთნოგრაფიო საზოგადოება მიუხედავად თავის ხანმოკლე არსებობისა ამ საზოგადოებამ ჩვენში დიდი სიმპატია დაიმსახურა და დიდი ნდობაც, რაც მთლად უხდა მიეწეროს მის მეთაურთა ენერჯიას და გამჭრიახობას; ეს რომ ასეა ამას ამტკიცებს თვით ამ საზოგადოების დღევანდელი ვითარება:

მუზეუმში არის 922 ხელთნაწერი (ამ რიცხვში კირიონის შემოწირულება) 900 — ნივთი, 275 ქსოვილი მხატვრობა დაახლოვებით — 300.

ნაბეჭდი წიგნები იქნება 1104 სახელდობისა (ამ რიცხვში კირიონის შემოწირულება) სურათები აღბომები — 42 (პ. ი. თუმანიშვილის ბიბლიოთეკა ცალკე — 2500 წიგნამდე) საქმის კარგად დაყენებამ საზოგადოებას ფულიც აშოვნინა შემოწირულობის სახით, მაგრამ მოთავენი შორს გამჭვრეტლობას იჩენენ და ეხლავე აარსებენ სათადარიგო თანხას, რაც ასე სამაგალითო და წასაბაძია ჩვენი საზოგადოებებისთვის, რომელნიც ქველმოქმედებით სცხოვრობენ და არა ზრუნავენ, რომ ოდესმე თავისი საკუთარი წყარო გაიჩინონ არსებობისა.

კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები თავის თავად ვერას გახდებიან და შესაფერ სარგებ-




 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ვლ. მესხიშვილი — ქამლეტის რაფში.

ლობასაც ვერ მოიტანენ, თუ ეკონომიური ნიადაგი მძლავრი არა აქვთ და სულ ცოტა ეს ორი მხარე ხალხის კეთილდღეობისა კულტურულ განმანათლებელი და ეკონომიური ორგანიზაციები პარარელულად მაინც უნდა ვითარდებოდნენ და მართლაც ჩვენშიაც კულტურულ განმანათლებელ ორგანიზაციების გვერდში ვხედავთ ეკონომიურ ორგანიზაციებსაც. პირველი ალაგი ამ უკანასკნელთა შორის, როგორც თავისი ხანგრძლიობით, ისე თავის შედეგებით ეკუთვნის თბ. ქართულ საადგილმამულო ბანკს. ეს ბანკი უკვე 30 წელზედ მეტია, რაც არსებობს და თუმცა პირდაპირი შედეგები საიმისო ხელსაყრელი არ გამოდგა რაკი ჩვენ მემამულეთ ვერ ისარგებლეს დაგირავებულ მამულებში აღებულ ფულებით შესაფერად, მაგრამ სამაგიეროდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მოგებას ბანკისას, რომელიც ასაზრდოებს მთელ ჩვენ დაწესებ

ბულებათ. წელს, როგორც იმედი აქვთ, გაცილებით დიდი მოგება ექნება, შედარებით შარშანდელთან, მაგრამ ჩვენ ამით არ უნდა დაგვკმაყოფილდეთ და უნდა ვეცადოთ, რომ ამ ბანკმა შემდეგშიაც ასეთი შემოსავალი მოიტანოს და საერთოდ ეს წყარო არ დაეშრიტოს ქართველს ხალხს, ეს კი მოსალოდნელია, რადგანაც დღეს დღეობით ჩვენი ბანკი მხოლოდ პრივილეგიების წყალობით გვაძლევს შემოსავალს; პრივილეგიები კი ადრე თუ გვიან მოისპობიან, მიეცემა საშუალება კონკურენტს თვით იჩინოს და ჩვენი ბანკიც გაქირვებაში ჩავარდება. ჩვენი აზრით, ამ გარემოებას დიდი და ამასთან რაც შეიძლება ადრე, ყურადღება უნდა მიექცეს და ვიდრე პრივილიებს მოუსპობდნენ, ისეთ ნიადაგზედ დადგეს, რომ შესძლოს შემდეგში კონკურენციის შებრძოლება. სამწუხაროდ, ჩვენი ეგრედ წოდებულ რწმუნებულთ კრებები, ნაკლებ

იწუხებენ თავს ამგვარ-სერიოზულ საკითხებზე და უბრალო კინკლაობას არჩევენებისას და წრვილმანებს ანდომებენ დროს. რაც არ ეპატიებათ და მომავალში ისტორია თავის მსჯავრს დასდებს ამგვარ უყურადღებობისა და ფუქსავატობისთვის.

გვაქვს მეორე, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია—სამეურნეო ბანკიც, რომელსაც უფრო უკეთესი იქნება თუ სასოფლო-სამეურნეოს მაგივრად უწოდებენ ქალაქის ქართველ ინტელიგენტთა და მოხელეთა ბანკს, რადგან მთლად ჩვენი ინტელიგენცია და მოხელეები შიგ არიან ჩაგირავებულნი, მაშინ როდესაც ნამდვილ მეურნეებს გლეხებს კარებიდანვე ითხოვენ.

ეკონომიურ ორგანიზაციათა შორის უნდა ჩაითვალოს საადგილ-მამულო კომისია, რომელიც უკვე ნ წელია რაც არსებობს და თუ მივიღებთ მხედველობაში მისი არსებობის პირობებს, უნდა ვთქვათ რომ მან პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა: ამ ხნის განმავლობაში ხელი შეუწყო ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან 38 - 40 დესეტინა მიწის შექმნას მიუხედავად იმისა რომ კომისიას თავისი მისია ჯერ არ დაუმთავრებია, ლამის არის თავ-

აზ. ეგრედ წოდებულ „ოპოზიციის“ წყალობით სული დალიოს და ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმე, როგორც არის, „ტერიტორია“, უპატრონო დასტოვოს.

ასეთია ჩვენი კულტურულ განმანათლებელი და ეკონომიური ორგანიზაციები 1912 წლის დამლევს; ეს ორგანიზაციები ცოტად თუ ბევრად აკმაყოფილებდნენ ჩვენ ქართულ ეროვნულ მოთხოვნილებათ, მაგრამ ჩვენი ცხოვრება იმდენად არის გაართულებული დღეს, რომ „საჭიროა ახალ მოთხოვნილებათა, ახალ ორგანიზაციების დაარსებით დაკმაყოფილება, ისე არსებულთა გაფართოვება და შესწორება. ჩვენც 1913 წლისთვის უსურვებთ როგორც გამრავლებას ისეთ ორგანიზაციებისას, რომელთაც მიზნად ექნებათ ნამდვილი ქართული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ისე იმ ნაკლის გასწორებას, რომელიც აღნიშნული იყო არსებულ ორგანიზაციებში.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შესახებ ცალკე წერილი გვექნება.

მროველი.

პროფ. გრედესკულის ლექციები

„ეროვნული საკითხი დასავლეთზე და ჩვენში“ და „ინტელიგენცია და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა“ აი ის ორი თემა, რომელსაც შეეხო პროფ. გრედესკული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თემები მეტად ფართოა, რომ თითო ლექციით ყოველმხრივ მათი განხილვა შესაძლო იყოს, მაგრამ ბატ. გრედესკულმა მშვენივრად დაასურათა ის მხარეები, რომელთაც შეეხო. განსაკუთრებით საინტერესო იყო პირველი ლექცია:

ჯერ განაცალკევა ორი ცნება: მოდგმა (раса) და ეროვნება. პირველი არის წმინდა ფიზიკური, ხოლო მეორე—სულიერი და შეიცავს კულტურულ-ფსიხოლოგიურ მოვლენათ, რომელნიც აერთებენ ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფს, ამოქმედებენ ერთი გრძობით, ჰქმნიან თვით-შეგნებას და, ერთ ბედში ჩავარდნილს, აწებებენ კულექტიურ პიროვნებად. ამას ხელს უწყობენ როგორც გარეშე პირობანი (ომი და კავშირი სხვა ერებთან), ისე შინაგანი განცდანი (რევოლიუციები, გადასახლებანი და სხ.)

აგრეთვე ცალკე პიროვნებათა საქმენი, რომელნიც შეადგენენ სიამაყეს ჯგუფისას ერთის მხრით და მეორეს მხრით გამომსახველნი არიან ამ ჯგუფის განსაკუთრებულ თვისებათა. (მაგ. ბისმარკი ნამდვილი გერმანელია და ტოლსტოი—რუსი).

ყველა ამასთან, ეროვნული გრძობა შეიცავს როგორც ალტრუიზმს ისე ეგოიზმს. პირველი არის განვითარებული—დედის გრძობიდან, რომელიც თანდათანობით გადადის ჯერ ოჯახზედ, შემდეგ თემზედ და ბოლოს ერზედ. მეორე განიცდის ასეთ-სავე ევოლიუციას, მხოლოდ მიმართულია სხვა ჯგუფებისაგან თავის დაცვაზედ.

ამ გვარად, როგორც ხედავთ, გრედესკული ცნება—„ეროვნებას“ ჰმარტავს, როგორც განსაკუთრებით კულტურულ-ფსიხოლოგიურს მოვლენას და, რადგან სრულიად არ შეეხო ეროვნების სხვა მხარეებს (იქნება მეორე ხარისხოვანთაც—ტერიტორიას, საერთო ისტორიას, ენას ხასიათს და სხ.)—მისი განმარტება თამამად შეიძლება მივაწეროთ ყო-

ველ ადამიანურ ჯგუფს, რაც უნდა პატარა იყოს, იქნება იგი ოჯახი, თემი თუ სხვა რამ ჯგუფი.

ამის შემდეგ, რაკი დაადასტურა, რომ ეროვნება თავისთავად შეიცავს დადებით და კეთილ მხარეებს, გადავიდა ეროვნების და კაცობრიობის შეფარდებაზედ. იდეა ეროვნებისა არ ეწინააღმდეგება საკაცობრიო იდეას; პირიქით, როგორც ცალკე პიროვნებანი, რაც უფრო მდიდარნი არიან ბუნებით, მით უკეთეს ერსა ჰქმნიან, ისე ცალკე ერები, რომელნიც რაიმე გარკვეულ იდეის მტარებელნი არიან — საუკეთესო შემადგენელი ნაწილები იქნებიან კაცობრიობისა.

და რომ ერები საზოგადოთ არ აითქვიფებიან ერთგვარ მასაში, ამის მაჩვენებელია იგივე ერი, შემდგარი ბევრ სხვა და სხვანაირ ინდივიდუუმებისაგან.

ესეთი თეორული გარმონია, სინამდვილეში ბევრ წინააღმდეგობას განიცდის: ალტრუიზმი თავისიანებისათვის, ასაზრდოებს სიმძულვარეს უცხოელებისადმი და აქედან იბადება შეტაკება ომიანობა, რაც თავის მხრივ ჰქმნის სახელმწიფოებრივ წესწყობილების აუცილებლობას: სახელმწიფო — შეილია ომიანობისა. სახელმწიფო რომ ღონიერი იყვეს საზღვრებზედ, სჭირია სიმშვიდე საკუთარ ფარგლებში, რის დასამყარებლად სახელმწიფოსა აქვს ისევე ძალდატანებითი საშუალებანი, რადგან „ბუნება ადამიანთა სრული არ არის“.

ამის გარდა, სახელმწიფონი, თავის ისტორიაში ბევრს ცვლილებას განიცდიან და მათი შემადგენლობაც ცვალებადია. ხან ერთეროვნულია (однонационально) და ხან რამდენიმე ეროვნება ექცევა შიგა, ნებაყოფლობით თუ ძალით და დაპყრობით. ერთეროვნულ სახელმწიფოში ეროვნული საკითხი არ იბადება (?) და მხოლოდ სხვა და სხვა ერისაგან შექდგარ სახელმწიფოში განსაკუთრებულ მწვავე ხასიათს იღებს. სხვა და სხვა სახელმწიფონი სხვა და სხვანაირად სწყვეტდნენ ამ საკითხს. წინად, დამორჩილებულ ერს პირად მონობას არგუნებდნენ, ან ხარკს ადებდნენ, მაგრამ ესეთი მდგომარეობა სახელმწიფოს უჩენდა შინაურ მტრებს, რომელნიც გაქირების დროს ყოველთვის სცდილობდნენ განთავისუფლებას და ბატონების განადგურებას. შემდეგ გაიმარჯვა პრინციპმა, რომ შემოერთებული ერები უნდა აითქვიფნენ მთავარ ერში, ანუ ასიმილიაციის გზას დაადგნენ. ასე იყო ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიაში და რუსეთიც ამ პოლიტიკას ადგას.

მაგრამ, ისტორიამ დაამტკიცა, რომ ძალდატანებით გარკვეული ეროვნების მოსპობა შეუძლებელია, თუ არ ფიზიკურად ამოწყვეტით და რადგან ეს ჩვენ დროს შეუძლებელია, სახელმწიფონი თვითონ იჩენენ თავის მტრებსა და შემდგენელ მტრს სდევნიან, მით უფრო სასტიკ და ავადმყოფურ ეროვნულ გრძნობას ეხეთქებიან.

ეს კი სახელმწიფოს სიძლიერისათვის მეტად საშიში მოვლენაა. ამიტომ ევროპაში, ნამეტნავად ინგლისი, სულ სხვა გზას დაადგა, აღიარა ფართო ავტონომიური პრინციპი და ამით ისე გაძლიერდა, რომ ერთერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლება. ამავე გზას, ანუ უკეთესს — ფედერატიულს უნდა დაადგეს ავსტრო-უნგრეთიც. მეორე მხრით, მახლობელმა ამბებმა ოსმალეთის პოლიტიკა დაამსხვრიეს, რადგან იგი სცდილობდა არავითარი შეღავათი არ მიეცა სხვა და სხვა მოსახლე ერისათვის.

საუბედუროდ, რუსეთიც ამ პოლიტიკას ადგია და რუსიფიკაცია პრინციპად არის აღიარებული. რომ ეს დიდი შეცდომაა, ნათლად გვიმტკიცებს პოლონეთის მდგომარეობა, საცა ეროვნული საკითხი და გრძნობა ავადმყოფურ ციებ-ცხელებას განიცდის.

ამ გვარად, გაერთფეროვნება, არ აღწევს მიზანს და სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვენ ერთა შინაგან თანხმობას და ამისათვის ერებს დიდი შეღავათი უნდა მიეცეს; იქ კი, საცა ერი გარკვეულ კულტურის მატარებელია და მოითხოვს ავტონომიას, ეს ავტონომია უნდა მიენიჭოს, რადგან მაშინ იგი უფრო მიეტანება საერთო სახელმწიფო-სამშობლოს, დაიცავს თავისებურ კულტურის სიმშვენიერეს და ჯანსაღობას და მშვიდად იმოქმედებს დანარჩენ ერებთან. უკეთ შეიგნებს ეროვნულ და სახელმწიფო ინტერესების შეფარდებას.

აქედან იწყობა სახელმწიფოს სიძლიერე, რომლის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ინგლისი, ღონიერი მექანიკურადაც და კულტურული ერთობის შეგნებით. კანადა, ავსტრალია და სხვა კოლონიები — დიდს ერთგულებას და შემწეობას აძლევენ თავის მეტროპოლიას. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფო და სხ. საუკეთესოდ ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მხოლოდ კეთილმზრუნველობა შემაერთებელ ნაწილებზედ — და ეროვნებათა მიმართ — ერთად ერთი გონიერი პოლიტიკა არის. მხოლოდ ესა ჰქმნის ჯანსაღ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს.

ერთად ერთი მოსახრება, რომელსაც შეუძლიან შიში გამოიწვიოს გაბატონებულ ერში, — რომ განთავისუფლებული ერები, როგორც კულტურით უფრო მაღლა მდგომნი, თვითონ გაბატონდებიან სახელმწიფოში, — რუსეთისვის არ გამოდგება, რადგან რუსის ხალხი თავის შემოერთებულ ერებს კულტურით არასოდეს არ ჩამოუვარდება. რუსის კულტურა, რომ სხვისაზედ დაბლა იდგეს, მაშინ არც ძალდატანება გვიხსნიდა, რის მაგალთა ჩვენ თვალწინ არის ოსმალეთის სახით: უფრო უღონო, მაგრამ კულტურასანმა ერებმა დაანგრის იგი.

რუსეთის მთავრობაც მოვალეა ღირსეულად გადასჭრას ეროვნული საკითხი, თუ არა სურს დიდი რუსეთისაგან მხოლოდ ველიკოროსია დარჩეს (ВМѣсто Великой Россіи только Великороссія).

ახლა კი რუსეთში ორი პირველყოფილი პრინციპია გამეფებული ეროვნებათა შესახებ: მონობა ებრაელთათვის და რუსიფიკაცია დანარჩენებისათვის — ამით ნამეტნავად ამწვავებენ პოლონეთს, რომლის მუდმივი დაუცხრომელობა ისეთ რეაქციონურ პოლიტიკოსებშიაც კი, როგორც იყო იმპერატორი ნიკოლოზ I და პუბლიცისტი მენშიკოვი, იწვევდნენ მხოლოდ ერთ აზრს: უნდა გავთავისუფლდეთ პოლონეთისაგან, ე. ი. მივცეთ სრული განცალკევების უფლებაო, რომ რუსეთი გაღონიერდესო.

ჩვენი კულტურული ძალა იმდენად მაღლა სდგას, რომ არავისაგან მოვლა-პატრონობა (ოპეკა) არა გვჭირია, მარამ ჩვენი უბედურება იმაშია, რომ 50 წლით ჩამორჩენილები ვართ ყველა სხვა სახელ-

მწიფოსა; თუმცა აქაც თავისუფლების გზაზედ შევდექით მანიფესტის წყალობით. და რადგან თვით 1905 წელსაც კი, როცა ყველაზედ მეტად უნდა გამოჩენილიყო ეროვნული მისწრაფებანი, რუსად არ აღმოჩნდა სეპარატიზმი — ეს იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის მოსახლე ერებს არცა სწადიათ განცალკევა ჩვენგან; პირიქით იმ დროს ყველა ერები ერთმანეთს ძმობას უცხადებდნენ და ერთ სამშობლოს ეტანებოდნენ. ამიტომ მე მგონია, რომ ფედერაცია რუსეთში არ გამოდგებოდა, რადგან გაბატონებული ერი მეტად დიდია სხვებთან შედარებით და ავტონომიური წესწყობილება კი ყველა გამორკვეულ ეროვნებას უნდა მიეცეს უსათუოდ.

მაგრამ ბატონმა გრედესკულმა რამდენჯერმე წამოაყენა „გარკვეულ ეროვნულ შემცენებასთან ერთად ეთნოგრაფიული მასალაც“, ე. ი. ისეთი ერები, რომელნიც ჯერ არ გამორკვეულან, ან არ წამოაუყენებიათ გარკვეული მოთხოვნილებანი.

რამდენადაც პოლონეთისათვის გარკვეულად და მკაფიოდ სწყვეტდა საკითხს, იმდენად სხვა ერებს აფუჩებდა და ... „ეთნოგრაფიულ მასალად“ აცხადებდა თითქმის. მაინც და მაინც ეს „ეთნოგრაფიული მასალა“ ისეთი გაურკვეველი ცნებაა, რომ სურვილისამებრ, დახელოვნებულ პოლიტიკოსს შეუძლიან შიგ მოათავსოს მთელი იმპერიის ეროვნებანი.

დამსწრე.

P. S. მეორე ლექციაზედ შემდეგ.

ჩვენი თავად-აზნაურობა

I.

ერთობ დაქვეითებული და დაბეჩავებულია ჩვენი ქვეყანა...

ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არ არის.

ჩვენს მიწა-წყალს აქა-იქ სხვები ეპატრონებიან.

ხელიდან გვართმევენ იმას, რაც მამა-პაპას შეუძენია, ჩვენთვის გადმოუცია.

მათის ნაამაგარიტ სხვები ხარობენ, სხვები მდიდრდებიან.

ჩვენ-კი...

დღითი-დღე უკან-უკან მივდივართ, უფრო და უფრო ვღარიბდებით, დღეს იმას ვკარგავთ, რაც გუშინა გვქონდა, ხვალ ისიც გამოგვეცლება ხელიდან, რაც დღეს ისევ ჩვენად გავვაჩნია...

ერთობ საშიშ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

გადაგვარების გზას ვადგევართ.

თუ რამე გვიხსნის, მარტო თვითმოქმედება, შრომა და მხნეობა. უამისოდ კი საბოლოოდ გადაგვარდებით, დავექვეითდებით, მოვისპობით, როგორც ერი.

უნდა ყოველი დონე ვიღონოთ, რათა ჩვენი ეროვნული ცხოვრება გავაძლიეროთ, საღი რეალური ეროვნული გეგმა გამოვნახოთ, მას დაფადგეთ, მტკიცეთ გავატაროთ ჩვენს ცხოვრებაში, თვითეულ ჩვენს ნამოქმედარში.

მარტო მაღალ-მაღალი იდეალები, ზე-აფრენა,

სადღესო კითხვების უყურადღებოდ დატოვება ვერას გვიშველის, ფონს ვერ გაგვიყვანს, თუ პირველ ყოვლისა მაგარ ნიადაგზე არ დავდებით, სადღესო კულტურულ საქმიანობას არ მივყავით ხელი. ეს საქმიანობა კი მოითხოვს, პირველ ყოვლისა, უკვე არსებულ ეროვნულ ორგანიზაციების დაცვას, მათს გამძაფრებას, გაფართოვებას, მათში დაუღალავ შრომის გაჩაღებას, ახალ ორგანიზაციების შექმნას და განვითარებას.

საითაც უნდა გავიხედ-გამოვიხედოთ, სწორედ ასეთს ლტოლვილებას ვხედავთ დღესა. შორს რომ არ წავიდეთ, მოვიგონოთ სომეხ-გრიგორიანთა ეკლესია, ის უაღრესი ყურადღება, რომლითაც ეკიდება მას მთელი სომხის საზოგადოება: ყმაწვილი და მოხუცი, მდიდარი და ღარიბი, ქალი და ვაჟი, მემარჯვენე და მემარცხენე ერთნაირად გულმოდგინედ ეკიდებიან თავიანთ ეკლესიას, მიიღებიან მისკენ

განურჩევლად სარწმუნოებრივის რწმენისაც კი: ხშირად შეხვდებით ურწმუნო, ატიესტ სომეხსა, რომელიც თავის წმიდა მოვალეობათა სთვლის კათოლიკოსის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, ხმა მისცეს ისეთს კანდიდატს, რომელიც უფრო შეეფერება მას თავის **საზოგადოებრივ-პოლიტიკურის პირისახით.** ეს იმიტომ ხდება, რომ თვითოეული სომეხი უცქერის თავის ეკლესიას არა როგორც სარწმუნოებრივს, არამედ პირველ ყოვლისა **როგორც ეროვნულს დაწესებულებას,** ჰგრძნობს, რომ რაც უფრო ძლიერად სცემს მაჯა ამ დაწესებულებისა, მით უფრო გაძლიერდება მთელი ერი, თვითოეული მისი წარმომადგენელი.

ჩვენ ქართველებს, ამ მხრივ დიდი დანაშაული მიგვიძღვის სამშობლოს წინაშე. ჩვენს ეროვნულ დაწესებულებებს ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევთ არ ვაფასებთ, მათი სვე-ბედი მაინც და მაინც დიდად არ გვაინტერესებს, ძალიან ცოტასა ვშრომობთ მათის განვითარებისათვის, გაძლიერებისათვის... თითქმის არც ერთი ეროვნულ-კულტურული დაწესებულება ისე არა მოქმედობს, როგორც უნდა მოქმედობდეს, თითქმის ყველგან წევრები საოცარ დაუდევრობას იჩენენ...

მაგალითების დასახელება შორს წავიყვანდა და არც ისე საჭიროა: ნათქვამი ასრეც ცხადია, ცხადზე უცხადესია. ამიტომ ჯერ-ჯერობით ნათქვამი ვიკმაროთ და შევუდგეთ ერთ-ერთ მთავარ და ძლიერ ქართულ ეროვნულ დაწესებულების, თავად-აზნაურობის ორგანიზაციის მოქმედების განხილვას, მისი მნიშვნელობის გამოკვევას.

ეს მნიშვნელობა ჯერ თითქმის მთლად გამოურკვეველია ფართო საზოგადოების თვალში. ხშირად, ძალიან ხშირად, შეხვდებით ისეთს ადამიანს, რომელსაც ვერც-კი გაურჩევია **ეროვნულში** ორი ისეთი სხვა და სხვა ცნება, როგორც **საზოგადოებრივი მხრივ, თავად-აზნაურობა, როგორც საორგანიზაციო ერთეული,** მეორე მხრით-კი ესა თუ ის **კერძო თავადი ან აზნაური.** ამის დაკვალად ხშირად ისეთს რასმე იტყვიან-ხოლმე თავად-აზნაურობაზე, როგორც ორგანიზაციაზე, რაც მხოლოდ თვითოეულ რომელსამე თავადზე ან აზნაურზე თუ ითქმის...

ვგონებ, მეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი აზროვნება დიდათ შემცდარია, რომ ის უკეთეს შემთხვევაში დაუდევრობის და უცოდინარობის შედეგია, რომ თავად-აზნაურობას, როგორც ერთეულს, არ შეიძლება მოვახვიოთ კისერზე ცოდო რომელიმე კერძო აზნაურისა — სწორედ ისე, როგორც, მაგალითად, მთელს სტუდენტობას ვერ მოვახვევთ კისერზე ერთ რომელიმე გადაგვარებულის ცოდვებს. და თუ, ვიმეორებ, რომელიმე თავადმა ივანემ ან აზნაურმა პეტრემ მაგალითად გლახაკობა დააწიოკა ან უზნეო რამ ჩაიდინა, არავის უფლება არა აქვს სთქვას: აი რას წარმოადგენს ჩვენი თავად-აზნაურობა!

ვისაც თავად-აზნაურობაზე, როგორც ორგანიზაციაზე უნდა მსჯელობა, უნდა გაეცნოს მის სხვა და სხვა ორგანოთა მოქმედებას, განიხილოს საზოგადო კრებების დადგენილებანი, დებუტატთა საკრებულოს ოქმები, კერძო კომისიების ნაწარმოებნი **და მხოლოდ ამ გზით** ნაშოვნ მასალით ისარგებლოს, მხოლოდ ამ მასალის და მორიდებით გამოიყვანოს ესა თუ ის დასკვნები.

ქვემოთ ჩვენ ვეცდებით გავეცნოთ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მოქმედებას, მის კულტურულ როლს, ქართლ-კახეთის და კერძოდ მთელის საქართველოს ცხოვრებაში. ვეცდებით გამოვარკვიოთ, თუ რა გაუკეთებია ჩვენს თავად-აზნაურობას, რა შეუძენია სამშობლო ქვეყნისათვის, რა ნაკლი აქვს მისს მოქმედებას, რა მხრივ სჭირია მას გაფართოვება, გაძლიერება.

(შემდეგი იქნება).

შეუპოვარი,

ღია ბარბთი კრიკოლ დიასპიძეს

გ. დიასპიძემ მე და სონდუღაშვილის ცილის მწა-
მებლობა დაგვწამა. ადამიანს მართლა დაკარგული უნდა
ჰქონდეს ზოგიერთი შემეცნება, რომ უფლად პატიო-
სანს და უკუდასვას ბავშვობიდანვე „არისტოკრატ“ წოდე-
ბულ სონდუღაშვილს ცილის წამება დაბრალდოს და ისიც
უბრალდო ფაქტურ შენიშვნისათვის, რომელიც მან მათა-
ვსა „სახ. გაზეთში“, პასუხად ჩვენი წერილისა, სადა პა-
ტივრემუღეთანგრაფიულ საზოგადოების მოქმედებას ბა-
ტონ დიასპიძის წყალობით მივაწერეთ დემონსტრაცი-
ული ხასიათი.

მაგრამ ვინ მისცა ბატონ დიასპიძეს იმდენი მისა-
ზრების უნარი, რომ გაარჩიოს ერთმანეთში ფაქტური
შენიშვნა სონდუღაშვილისა (სახ. გაზეთში) და სამარ-
თლიანი მსჯავრი ჩვენი ჟურნალისა, „თემისა“ და „გა-
ზისა“ საქციელის შესახებ. ჩვენ გვკვირვებს, რომ სონდუ-
ღაშვილმა სამართალში გაიწვია გ. დიასპიძე: განა ავა-
დმოთსაც მოეთხოვება სამართალი? და ავი ვერც ვაბედა
დაავადებულმა დიასპიძემ და არ ვაპყვავ სამართალში.
სხვა დონისძიებანი კი ახლა ექიმთ უზურიათ ხელთა.

რ. გაბაშვილი.

მთავარი ამბები 1912 წლისა

(კახეთის რკინის გზის დაგვირგვინება)

ს ა ზ ე ი მ ო ქ ო რ წ ი ღ ი



მამა (ბიურაგრატი) და **დედა** (რუსეთ-აზიის ბანკი): ჩვენო ძვირფასო შვილებო, არტემ და პაულინა, სიხარულით გილოცავთ დიდებულ შეერთების წუთს. გამრავლდით, ვითაარცა აბრამი .. მიეცით ქვეყანას თქვენისთანა სახელოვანი მამულიშვილნი. ღმერთსა ვსთხოვთ თქვენ მშვიდობიან და საჩქარო მგზავრობას .. შორეულ ინდოეთში.

მეჯვარეები (ძმანი ა. და გ. დიასპიძენი): შეხეთ, როგორა შვენის ჩვენი უმანკო პაულინა, თითქო ჩვენგან ესწავლოს...

პაუები (გ. გვაზავა და გ. თუმანიშვილი, ერთმანეთს მუჯღუგუნისა ჰკვრენ): **გვაზავა**: „შენ ეი, კოწახურო, რატომ ვგრე იტენავ ჯიბეებს, ლამის პაულინა ბოლო დაგლეჯილი დასტოვო.“

გ. თუმანიშვილი: „შენ უბეებიც გაგიტენია და მე რას შედავები. (თვალს ჩაუკრავს) პაულინა „კეთილი“ ქალია, წინანდელი თავისი კაბებიც ჩვენ დაგვირიგა და არც ეხლა ესმის რას ჩავდივართ“

რედაქტორ-გამომცემელი რ. გაბაშვილი

ელექტრომბეჭდავი სტამბა ს. შ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 5.

სამეცნიერო-მედიკოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

1913 წელსი ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წიგნები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტუაცია კავშირულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ექვსი განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივად უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის ოთხი მანეთი (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველებს ჟურნალი დაეთმობათ სამ მანეთად. საზღ. კარ. 6 მან. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადაიხდის, საჩუქრად მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა თბილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიციანიძესთან. ბათუმში — წიგნის მაღა-

ზია „განათლება“. ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიწყო ჟურნალის მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія № 1. Бривадзе. რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ზოცვაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულის“

წელიწადი მეცხრე

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივ პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე ფლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . . 12 წიგნი

ელირება წლიურად 5 მან., ნახევარ წლით 3 მან., ცალ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მან., საზღვარ გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, 8.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

Открыта подписка на 1913 годъ

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„**Б Е З П А Р Т І Й Н О П Р О Г Р Е С С И В Н Ы Й Д Е М О К Р А Т И Ч Е С К І Й О Р Г А Н ъ**“

Безпартійно-прогрессивный демократическій органъ, обслуживающій интересы Закавказскаго края, безъ различія націоналистовъ.

(Восьмой годъ изданія)

П О Д П И С Н А Я Ц Ъ Н А

Съ доставкой въ городъ Тифлисъ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40., 6 м. 3 р. 5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 в., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 в., 1 м. 75 в.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 в., 6 р., 5 р. 50 в. 5 р., 4 р. 50 в., 4 р., 3 р. 50 в., 2 р. 80 в., 2 р. 10 к. 1 р. 40 в., 75 в.

Заграницу вдвое больше городской

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р въ мѣсяць.

Подписка принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра)

Телефонъ № 917.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

Для Закавказья на мѣсто, занимаемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зрѣлища и увеселенія 20 коп

За многократныя объявленія свидна.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 в. каждое. Траурное объявленіе—4 руб.


Объявленіе внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая д. Сытона, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербурѣ—большая Морская, № 11, въ Варшавѣ—Маршалковская, № 130, по 24 в. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текста.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ



კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“-ს დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866¹/₂, ღვინო ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

ღვინო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათუმში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდრაოლში, ეკატერინოღარში.

ქალაქი ერთობაშია!

კახელებო! ჩვენ ერთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოება — გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკმდრად დაწყებულია.



მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

სარდაფი „კახეთისა“: ღვინის ვადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“